ოქმი:**ო63. 6326119001**
თარიღი:**29/04/2026**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს

იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და

სამანდატო საკითხთა და ინფრასტრუქტურის საკითხთა გაერთიანებულ

კომისიათა სხდომის

ო ქ მ ი N 6

23 აპრილი. 2026 წელი.

მიმდინარე წლის 23 აპრილს სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა თავმჯდომარის, მანანა სირბილაძის თავმჯდომარეობით, ჩატარდა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა და ინფრასტრუქტურის საკითხთა გაერთიანებულ კომისიათა სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, მარიამ ცომაია, მაია ტალაბაძე, პაატა კოხრეიძე, გოჩა არველაძე, თენგიზ ცაგურია, ლაშა მუქერია, ანა გეგეშიძე, ემზარ კრავეიშვილი, შალვა მეფარიშვილი.

ასევე სხდომას ესწრებოდა: ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი - კახა ნადირაძე, მუნიციპალიტეტის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში - სოფიო გიგინეიშვილი, სოფელ საჯავახოს მცხოვრები, განმცხადებელი - ნანა სანიკიძე.

დღის წესრიგი:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტში თამარ მეფის ქ. N38-ში მდებარე N14 ბინის სარგებლობის უფლების შესახებ.

/ მომხსენებელი: მანანა სირბილაძე/

2. სოფელ საჯავახოში, 1-ლი ქუჩის, IV ჩიხის უძრავი ნივთის სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ.

/ მომხსენებელი: მანანა სირბილაძე/

3. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (11 ხმით) კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრთა (11 ხმით) დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, მანანა სირბილაძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი სამტრედიის მუნიციპალიტეტში თამარ მეფის ქ. N38-ში მდებარე N14 ბინის სარგებლობის უფლების შესახებ. განმცხადებელი ითხოვს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიაში მის მიერ შეტანილ წერილობით მომართვაზე (N 19/6225244827) დადებითი ან უარყოფითი პასუხის გაცემას, რათა პასუხის შესაბამისად მოახდინოს რეაგირება სასამართლოს მეშვეობით.

კომისიის წევრებმა მოისმინეს და იმსჯელეს.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა და ინფრასტრუქტურის საკითხთა გაერთიანებული კომისიის წევრებმა (11 ხმით) მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მოქალაქე მარიკა შენგელიას წარმომადგენლის - მაყვალა ფრანგიშვილის თავისუფალი განცხადება თანდართული დოკუმენტაციით გადაიგზავნოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიაში, რათა შესაბამისმა სამსახურმა კანონით დადგენილ ვადებში შეისწავლოს და მოახდინოს განცხადების ავტორისადმი დასაბუთებული, წერილობითი პასუხის გაცემა.

<u>დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, მანანა სირბილაძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი, სოფელ საჯავახოში, 1-ლი ქუჩის, IV ჩიხის უძრავი ნივთის სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ. წერილობით მომართვაში წარმოდგენილია, სოფელ საჯავახოში მცხოვრები, ნანა სანიკიძის განცხადება.

ნანა სანიკიძე - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ჩემს მიერ რეგისტრირებულ N19/63251752-63 (24.06.2025) და N19/63253394-63 (05.12.2025) განცხადებებთან დაკავშირებით დამატებით წარმოგიდგენთ ინფორმაცია/დოკუმენტაციას, კერძოდ:

2025 წლის 27 ნოემბერს N317303/17 განცხადება/საჩივრით მივმართე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, რომლითაც მოვითხოვე საჯარო რეესტრის მიერ N882025595170 სარეგისტრაციო წარმოების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შესწავლა.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან 2025 წლის 26 დეკემბერს მივიღე N296116 წერილობითი პასუხი, რომლითაც სააგენტო მაცნობებს, რომ ჩემი განცხადება/საჩივარის საფუძველზე ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტმა დაიწყო სარეგისტრაციო წარმოება განცხადებით N892025574678 და დანიშნულ იქნა ადგილზე დათვალიერება. ადგილზე დათვალიერების თარიღი და დრო გეცნობებათ ადგილზე დათვალიერების გამართვამდე, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება ადგილზე დათვალიერების შედეგების გათვალისწინებით - აღნიშნულია N296116 (26.12.2025) წერილში.

ზემოაღნიშნული სარეგისტრაციო წარმოების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება სააგენტომ მომაწოდა N296116 (26.12.2025) წერილზე დანართის სახით.

N882025595170 სარეგისტრაციო წარმოების ფარგლებში, სააგენტოს მიერ

მიღებული გადაწყვეტილებით, რომელიც ჩემს მიერ გასაჩივრდა N317303/17 (27.11.2025) განცხადება/საჩივრით რეგისტრირებულია რომან ჩაჩუას (პ/5 01034004699) საკუთრების უფლება ს/კ 34.11.44.204

იქედან გამომდინარე, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ჩემს მიერ რეგისტრირებული ზემოაღნიშნული განცხადებები, უშუალო და პირდაპირ კავშირშია სააგენტოში ჩემს მიერ წარდგენილ N317303/17 (27.11.2025) განცხადება/საჩივრის საფუძველზე მიღებულ სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ N892025574678- 03 (26.12.2025) გადაწყვეტილებასთან, სადაო მიწის ნაკვეთის ადგილზე დათვალიერების თარიღი და დრო, ჩემს მიერ წერილობით გეცნობებათ სააგენტოს მხრიდან მისი კონკრეტული თარიღის დანიშვნისთანავე, როგორც 1-ლი ქუჩის IV ჩიხის შესახებ სადაო საკითხზე უფლებამოსილ პირს.

განცხადებაში დასახელებულ დოკუმენტებს წარმოგიდგენთ დანართის სახით და გთხოვთ აღნიშნული მასალა დაურთოთ მიმდინარე საქმეს.

ჩემი მოთხოვნაა, რომ თავიდან მოხდეს ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის კორექტირება.

კომისიის წევრებმა მოისმინეს და იმსჯელეს.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა და ინფრასტრუქტურის საკითხთა გაერთიანებული კომისიის წევრები (11 ხმით) ეთანხმება ვინაიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2025 წლის 5 დეკემბერს შემოსული მოქალაქე ნანა სანიკიძის თავისუფალი განცხადება სცდება საკრებულოს კომპეტენციის ფარგლებს, განცხადება თანდართული დოკუმენტაციით გადაიგზავნოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიაში, რათა შესაბამისმა სამსახურებმა შეისწავლოს მასში მოყვანილი ფაქტები, მტკიცებულებები და დადასტურების ან არ დადასტურების შემთხვევაში განახორციელონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებანი.

სხდომის მდივანი: / ნათია დოლიძე/

მანანა სირბილაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
იურიდიული, ადამიანის უფლებათა დაცვის,
საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია-
იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის,
საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი